განკარგულება:**g-27. 27241172**
თარიღი:**26/04/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

26 აპრილი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის თელავის მუნიციპალიტეტის სახელით

გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, თელავის მუნიციპალიტეტის სახელით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ - ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მიზნით, „გოეთე ინსტიტუტის ფილიალისგან საქართველოში“ (ს/ნ 404599939) მიიღოს გრანტი **5 000** (ხუთი ათასი) ევროს ოდენობით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი